საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 24 სექტემბერი, 2014 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/ 12

კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2014 წლის 22 სექტემბრის სხდომის (ოქმი № 11) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება აკადემიური საბჭოს 2013 წლის 20 მაისის № 04-01/33, 2013 წლის 24 ივნისის № 04-01/44 დადგენილებებში და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ეწოდოს კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა.

2. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ს. თავაძე დამტკიცდეს კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად.

3. დადგენილებით იხელმძღვანელონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა და შესაბამისმა ფაკულტეტმა.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია